



MES 9 21 0000689189



08/07/2021

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის  
განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს  
სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2021 წლის 24 ივნისს**.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/82620803884?pwd=RjhMMlU3T2RDSmZOSUN3Q2lMZhhZUT09>

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ:

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:**

**მარიამ ქუჩულორია** - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარე);

**მარიკა ზაქარეიშვილი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის-„კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი, (საბჭოს მდივანი);

**გიორგი გამყრელიძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

**თორნიკე ჯობავა** - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს „ინტერნეტი განვითარებისთვის“ პროგრამის კოორდინატორი (საბჭოს წევრი);

**ნიკოლოზ მესხიშვილი** - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);

**თამაზ ბახტაძე** - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პროფესიული განათლების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

**გიორგი ვეკუა** - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მომსახურებისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);

**ქრისტინე მეფარიშვილი** - სსიპ-აწარმოე საქართველოში ინვესტიციების დეპარტამენტის უფროსი (საბჭოს წევრი);

**ნატო მებურიშვილი** - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი).

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**ნანი დალაქიშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

**ლანა გაჩეჩილაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

**ნინო სტეფანიშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

**მაყვალა დარსანია** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**მაია აბდალაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

**დაწესებულებების წარმომადგენლები:**

**სსიპ - კოლეჯი „ოპიზარი“:**

ბელა ავალიშვილი - დირექტორი,

მაია თედორაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი,

მანანა ოკოშვილი - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი,

ცირა მესხიშვილი - პროგრამის განმახორციელებელი პირი,

ბიძინა გოგოლაძე - პროგრამის განმახორციელებელი პირი,

ირინა ხანთაძე - პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი.

**სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი:**

თეონა ხუფენია - რექტორი,

მანანა სამუშია - პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსი,

ქეთევან ლომაია - პროფესიული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი.

**პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტები:**

მამუკა გოგელია,

ქეთევან ჯანელიძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 13:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებისა და ცენტრის წარმომადგენლებს, შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ, ასევე, შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიოჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ, რეგულაციის მიხედვით, განადგურდება და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო **სხდომის დღის წესრიგი:**

1. სსიპ - კოლეჯი „ოპიზარისთვის“ - „რეგიონული ტურისტული მეგზურის“ /01075/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

**წარმდგენი:** მამუკა გოგელია, მაცვალა დარსანია

2. სსიპ - კოლეჯი „ოპიზარისთვის“ - „რეგიონული ტურის მეგზურის“ /01074/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

**წარმდგენი:** მამუკა გოგელია, მაცვალა დარსანია

3. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის - „რეგიონული ტურისტული მეგზურის“ /01084/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

**წარმდგენი:** მამუკა გოგელია, მაცვალა დარსანია

4. სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ - „რეგიონული ტურის მეგზურის“ /01087/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

**წარმდგენი:** ქეთევან ჯანელიძე, ლანა გაჩეჩილაძე

**1. სსიპ - კოლეჯი „ოპიზარისთვის“ - რეგიონული ტურისტული მეგზურის“ /01075/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა ან საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა

აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტება გააკეთა, რომ სანამ პროგრამებს განიხილავდნენ ცალ-ცალკე, სადაც არის იდენტური საკითხები, მაგრამ არის ასევე საკითხები, რაც განსხვავებულად არის დაფიქსირებული, საჭიროა შეთანხმდნენ რაღაც დეტალებზე, რადგან საბჭო ვერ მიიღებს განსხვავებულ გადაწყვეტილებას იდენტურ პროგრამებთან დაკავშირებით. საბჭოს წინა სხდომაზე განხილულ იქნა სსიპ - კოლეჯ „ოპიზარის“ ორი პროგრამა, ერთი-მომზადების, და მეორე - გადამზადების. ერთს ერქვა „რეგიონული ტურისტული მეგზური“ და მეორეს, გადამზადების პროგრამას ერქვა „რეგიონული ტურის მეგზური“. დღეს წარმოდგენილია შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „რეგიონული ტურისტული მეგზურის“ მომზადების პროგრამა და ასევე სსიპ - კოლეჯი „აისის“ „რეგიონული ტურის მეგზურის“ პროგრამა, რომელიც არის მომზადების. გამოდის, რომ სადაც გვაქვს სახელი „რეგიონული ტურის მეგზური“, „აისის“ შემთხვევაში არის მომზადება და „ოპიზარის“ შემთხვევაში არის - გადამზადება. კიდევ ერთი შეუსაბამობა, რაც მან დაინახა არის ის, რომ თუ „აისის“ პროგრამას ჰქვია „რეგიონული ტურის მეგზური“, განსხვავებული სახელი ჰქვია, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროგრამას - „რეგიონული ტურისტული მეგზური“. შედეგებს როდესაც ადარებს ერთმანეთს, არის აბსოლუტურად იდენტური. ამ საკითხებთან დაკავშირებით, პირველ რიგში, აინტერესებს დონორი ორგანიზაციის პარტნიორის, ირინა ხანთაძის მოსაზრება, რომელიც პროგრამების შემუშავებაში იყო ჩართული, იქნებ ოთხივე პროგრამაზე ერთად ისაუბროს: რა იყო მიზანი, რა პროგრამები გვინდოდა, სად - მომზადება და სად - გადამზადება და ასევე სახელები, „რეგიონული ტურის მეგზური“ და „რეგიონული ტურისტული მეგზური“, როგორ განვასხვავოთ ერთმანეთისგან და შემდეგ მოუსმენდნენ ექსპერტებს და დაწესებულებების წარმომადგენლებს, რომლებიც ისაუბრებდნენ ამ პროგრამების განსხვავებულობაზე.

ქალბატონმა ირინამ ხანთაძემ მადლობა გადაიხადა მოწვევისთვის და იმ შესაძლებლობისთვის, რომ მოკლედ წარმოადგინოს კონტექსტი, რომლის ფარგლებშიც აღნიშნული პროგრამები იქნა შემუშავებული. პირველ რიგში მან აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამის იდეა გაუჩნდა USAID-ის „ზრდას“ პროგრამას, რომელიც რამდენიმე რეგიონში აქტიურად მუშაობდა და მუშაობის პროცესში წააწყდნენ, რომ რეალურად არის გარკვეული ადამიანების დეფიციტი, რასაც არაერთგზის ისმენდნენ იგივე ტურისტული სააგენტოებისგანაც, ვისთანაც მათ ჰქონდათ შეხება. შესაბამისად, მათი ინიციატივით გადაწყდა, რომ შემუშავებულიყო მოკლევადიანი სასერტიფიკატო კურსი, რადგან სწორედ უფრო ამ ტიპის სასწავლო პროგრამებს ჰქონდათ ინტერესი და მოთხოვნა და უფრო რეალისტური სტრატეგია შეიძლებოდა გამხდარიყო არსებული გამოწვევების გათვალისწინებით. მათ CTC- ს თხოვეს ამ კურსის შექმნაზე მუშაობა. კურსი შემუშავდა წინარე კვლევის საფუძველზე, მოხდა როგორც აქტიური გიდების გამოკითხვა, ასევე იმუშავეს ტურიზმის ინდუსტრიაში ჩართულ სხვა აქტიორებთან და დაინახეს, რომ რეალურად, რეგიონის ჭრილში მნიშვნელოვანი არის ამ ტიპის კვალიფიკაციის მქონე ადამიანების არსებობა, რომელთაც გარდა იმისა, რომ აქვთ გარკვეული უნარები გასწიონ სერვისი, აქვთ გიდისთვის დამახასიათებელი საკომუნიკაციო უნარები, შეძლონ გარკვეული შინაარსის კონტენტის კვალიფიციურად გადაცემა და ჯგუფთან ინტერაქცია, ასევე ძალიან მკაფიოდ დაინახეს, რომ არის საჭიროება მომზადდნენ ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ უფრო ინოვაციურად, სამეწარმეო კუთხით, არ გულისხმობს კომერციულ, ბიზნესის წარმოების უნარებს, არამედ კრეატიულად ახალი შესაძლებლობების გამოვლენა შესძლებოდათ და დაენახათ თავიანთი რეგიონის პოტენციური ახალი პროდუქტების, ახალი საინტერესო იდეების გენერირებისთვის და სწორედ ასეთ სიახლეებზე ორიენტირებული, ახლებური ტურისტული პროდუქტების (გულისხმობს ექსკურსიებს თუ მსგავსი ტიპის პროდუქტებს) შექმნაზე ყოფილიყვნენ ორიენტირებული და ჰქონოდათ გარკვეული

კომპეტენცია, რადგან სწორედ იგივე ტურისტული სააგენტოები ხშირად საუბრობენ, რომ მათ უჭირთ სტანდარტული იდეების მეშვეობით ახლებური საინტერესო პროდუქტების მომხმარებლისთვის შეთავაზება. სწორედ ამ ნიშნით მათ გადაწყვიტეს შეექმნათ „რეგიონული ტურისტული გიდის“ მომზადების/გადამზადების პროგრამა. თავიდან გააკეთეს, როგორც არაფორმალური განათლების სასერტიფიკატო კურსი, ტურისტული გიდის მომზადების პროგრამა. თავიდანვე გადაწყდა, რომ პილოტირების და ტესტირების ბაზად გამოყენებული იქნებოდნენ კოლეჯები და კოლეჯებს შესთავაზებდნენ ამ კურსის თავიანთ პროგრამებში ინტეგრირებას და მათ ბაზაზე ტესტირებას, რადგან მიაჩნიათ, რომ რეგიონში ასეთი ტიპის მულტიფუნქციური სათემო კოლეჯების ერთ-ერთი ამოცანა სწორედ ასეთი ძალიან სენსიტიურად ადგილზე საჭიროებებზე მორგებული, ახლებური პროგრამების პროდუქტების შეთავაზება არის და მათ აქვთ ყველანაირი ინსტიტუციური შესაძლებლობა და რესურსი, რომ არამარტო დანერგონ, არამედ თავიანთ ბაზაზე განავითარონ და ბუნებრივია, საინტერესო პარტნიორები იქნებოდნენ ამ პროგრამების განვითარებისთვის. მათ უნდოდათ ეს პროგრამა კოლეჯებს განევითარებინათ. ამიტომ პირველი პილოტის კურსები ჩატარდა სამი კოლეჯის და ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის ბაზაზე და ამისთვის წინსწრებად მოხდა ჩართული მასწავლებლების, როგორც იდენტიფიცირება სასწავლებლების მიერ, ამ დროს კონკურენტული მიდგომა გამოიჩინა თითოეულმა სასწავლებელმა, კვალიფიციური კადრი გამოველინა და შემდგომ მოხდა ამ მასწავლებელთა გადამზადება როგორც იმ ქართველი ავტორების მიერ, რომელთაც შეიმუშავეს პროგრამის კურსი, ასევე, შექმნაში ჩართული იყო ბრიტანელი ექსპერტიც და იმ ქალბატონის მიერაც საკმაოდ ინტენსიური გადამზადების პროგრამა გაიარეს იმ მასწავლებლებმა, რომელიც შერჩეული იქნა სასწავლებლების მიერ. ამის შემდეგ მოხდა პილოტ კურსის ჩატარება, რომელმაც საშუალება მისცათ, პრაქტიკაში დაენახათ ის პროგრამა, რომელიც თავდაპირველი სახით შეიქმნა, რამდენად ეფექტური იყო და რამდენად რეალურად მუშაობდა. რა თქმა უნდა, ამის საფუძველზე გარკვეული დასკვნები გაკეთდა, პირველ რიგში, დაინახეს, რომ ის დრო, რაც გამოყოფილი ჰქონდა, არ იყო საკმარისი. სპეციალური თვითშეფასებაც ჩაატარეს მასწავლებლების მონაწილეობით და პილოტ კურსის შემდეგ, გარკვეული გადაწყვეტილებები იქნა მიღებული. მათ შორის ერთ-ერთი იყო, რომ გაგრძელებულიყო პროგრამის ვადა, რადგან ნახეს, რომ უფრო მეტი დრო იყო სასურველი პრაქტიკულ სამუშაოებზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ამის შემდგომ გაიმართა მსჯელობა, რა ფორმით შეიძლებოდა ეს კურსი დანერგილიყო სასწავლებლებში. სხვადასხვა სასწავლებლებმა ჩამოაყალიბეს თავიანთი სტრატეგია ამ კურსის განვითარებასა და დანერგვასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ზოგმა კოლეჯმა აირჩია გადამზადების პროგრამის შემუშავება ამ კურსის საფუძველზე, ზოგმა - მომზადების. ზოგმა აიღო, როგორც გადამზადების, ასევე მომზადების პროგრამა. ეს იყო უკვე თითოეული კოლეჯის გადაწყვეტილება და ის პრობლემას ამაში ვერ ხედავს, რადგან კოლეჯი არის ავტონომიური დაწესებულება და ის ფუნქციონირებს კონკრეტულ კონტექსტში, კონკრეტულ გეოგრაფიაში, კონკრეტული საჭიროებების და გამოწვევების ფონზე და მას აქვს შესაძლებლობა, რომ არსებული ვითარების, საჭიროების და საკუთარი რესურსებიდან გამომდინარე გადაწყვიტოს, რა ტიპის პროგრამას განავითარებს.

მარიკა ზაქარეიშვილი დაინტერესდა, როდესაც მოხდა პილოტირება კოლეჯებთან, გადამზადების კურსი იყო თუ მომზადების, რაზეც ირინა ხანთაძის პასუხი იყო, რომ ის, რაც მათ დააპილოტეს, იყო უფრო გადამზადების პროგრამა, როგორც მოცულობიდან, ისე ამბიციიდან და წინაპირობებიდან გამომდინარე. თუმცა შერჩევა მოხდა მკაცრად, 80-მდე მონაწილიდან 65 გადამზადდა და შედარებით ნაკლებმა აიღო სერტიფიკატი, მაგრამ პრერეკვიზიტები მკაცრი არ აუღიათ. მაგალითად, ენის ბარიერზე ჰქონდათ დისკუსია, რამდენად მნიშვნელოვანია ენის ცოდნა. რასაკვირველია, მნიშვნელოვანია, მაგრამ თვითონ ამ კურსის არსი, ამ კურსით მომზადებული ადამიანი არ არის მხოლოდ უცხოელ ვიზიტორებთან მუშაობაზე ორიენტირებული, ისინი შიდა ტურიზმის მნიშვნელობასაც არანაკლებ უყურებენ და ბევრი ის პროდუქტი, რომელიც პილოტური პროგრამის ფარგლებში შექმნეს მონაწილეებმა,

ძალიან საინტერესოა და ძალიან ბევრი მათგანი შიდა პროდუქტზეა გათვლილი და ამასთან დაკავშირებით არ შეზღუდეს ენის ბარიერით და არ იყო ეს აუცილებელი წინაპირობა, თუმცა ითქვამს, რომ თუ შერჩევას თანაბარი კანდიდატები იქნებოდნენ, რა თქმა უნდა, ენის ცოდნას უპირატესობას მიანიჭებდნენ. მით უმეტეს, ისეთ რეგიონში, როგორცაა ახმეტის მუნიციპალიტეტი, რეალურად ძალიან რთული იქნებოდა ადგილობრივი კადრის გამოვლენა, რომელიც მაღალ დონეზე ფლობს რომელიმე უცხო ენას. ისიც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ თავიდან კურსი შექმნილი იყო, როგორც გადამზადების პროგრამა, რომ გარკვეულ გამოცდილებას, ცოდნას ითხოვდა კურსის მონაწილეებისგან, მაგალითად, ტურიზმის სფეროში გამოცდილებას კონკრეტული ვადით და ასევე მომიჯნავე ცოდნას, მაგალითად, ისტორიის სპეციალობა. გაცილებით მეტი დრო სჭირდება მომზადების პროგრამას. გადამზადების საკითხები, რასაც პროგრამა ითვალისწინებს, არის გათვლილი მოქმედი გიდებისთვის, ბევრი სიახლეა და მათი მიზანი იყო, ყოფილიყო უფრო მეტი, ვიდრე საკომუნიკაციო სწავლება.

მარიკა ზაქარიეშვილმა განმარტება გააკეთა, თუ რატომ გადაიდო ეს საკითხი წინა საბჭოზე და რაში იყო საქმე. სხვადასხვა კოლეჯების წარმომადგენლებისგან მოისმინეს პროგრამების შესახებ და დადგა საკითხი, როგორ მოწესრიგდეს ეს პროგრამა, წინა საბჭოზე ამაზე წავიდა დავა. რატომ არ შეზღუდეს უცხო ენა გასაგებია, მაგრამ მაშინ ხომ არ იყვნენ ეს ადამიანები ქართულენოვანი ვიზიტორებისთვის გათვლილი, თუნდაც ეს იყოს გადამზადების პროგრამა, რაზეც ირინა ხანთაძემ უპასუხა, რომ გარკვეული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელსაც კოლეჯი გასცემს, არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, რომ ისინი აღიარებენ, რომ ადამიანს საერთაშორისო ვიზიტორთანაც შეუძლია მუშაობა, რადგან ეს იქნება ქართულენოვან ვიზიტორთან მომუშავე პირი, მაგრამ თუ იქნება ისეთი, ვინც უცხო ენას ფლობს, ამით მას ბაზარზე არ შეეშლება ხელი, ამაზე კოლეჯებმა უნდა ისაუბრონ.

ნატო მებურიშვილის აზრით, უდაოდ, ქვეყანაში გიდების პრობლემა არის და არის არა რაოდენობრივად, არამედ კვალიფიციური, მცოდნე გიდების თვალსაზრისით. მიესალმება, თუ რეგიონები ჩაერთვებიან ამაში და გადაამზადებენ თუ მოამზადებენ ადამიანებს, რადგან ყველა ჯგუფს, რომელიც ქვეყანაში ჩამოდის, თბილისიდან მიყვება გიდი, რეგიონი რომ აჩვენოს. ჩანაცვლება რომ მოხდება და რეგიონში იქნებიან გიდები, ეს უკვე ძალიან კარგი იქნება. თუმცა, ფიქრობს, რომ აქ არის სახელის პრობლემა. მისთვის, სტუმარ-მასპინძლობის სფეროში, საქართველო არის საერთაშორისო ტურიზმზე და არა შიდა ტურიზმზე დამოკიდებული, თუმცა მნიშვნელოვანია საერთაშორისო ტურიზმი. როდესაც ხარ გიდი, უნდა იცოდე ენა, აუცილებელია უცხო ენის ცოდნა. თუ ვფიქრობთ, რომ არ არის აუცილებელი ენა იცოდეს, მაშინ ის უნდა იყოს გიდის დამხმარე.

ირინა ხანთაძემ თქვა, რომ გიდი პირობითად დაარქვეს საპილოტე პროგრამას, მერე კოლეჯებმა აირჩიეს „მეგზური“. შემდეგ გამოცდილებამ აჩვენა, რომ ასეთი კურსის არსებობა, რომელმაც პრაქტიკაში აჩვენა, რომ არის ძალიან სასარგებლო ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების, მეწარმეობის, ინოვაციური აზროვნების, შესაძლებლობების გააზრების კუთხით და იმ თემის, რეგიონის განვითარებისთვის არის მნიშვნელოვანი და კოლეჯი რომ არსებობს იქ ადგილზე, იმისთვის არსებობს, რომ ეს გააკეთოს. თუ ადამიანებს ვაძლევთ საშუალებას, გაიარონ ეს პროგრამა და მათი კვალიფიკაცია არ არის ენობრივი, შეიძლება პირიქით, მივცეთ სტიმული, რომ ენა ისწავლონ.

ნატო მებურიშვილის აზრით, შეიძლება დაერქვას სწორი სახელი, როგორც წინა საბჭოზე თქვეს, აუცილებელია ენის ცოდნა. მეგზური თუ ჰქვია და აქვს პრეტენზია, რომ კვალიფიციური გიდი იყოს და უნდა ეს მომზადების პროგრამა გაიაროს, აუცილებელია განისაზღვროს, რა დონე აქვს უცხო ენის ეს კურსები რომ აუცილებელია, იმისთვის, რომ რეგიონში ამ მიმართულებით იყვნენ კვალიფიციური ადამიანები, უდაოა და არა არის წინააღმდეგი კურსის, პირიქით, რაც

უფრო მეტი იქნება რეგიონებში და მეტი კოლეჯი ჩაერთვება, მით უკეთესი. აქ საუბარია იმაზე, რომ რაღაც ენა უნდა იცოდეს, ამისი დეფიციტია.

ირინა ხანთაძე დაეთანხმა ნატო მეზურიშვილს და აღნიშნა, რომ ასეთ შემთხვევაში ძალიან მკაფიოდ უნდა დაფიქსირდეს ენის აუცილებლობა წინაპირობაში, ასევე განისაზღვროს დონე და დადასტურების მექანიზმიც.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ზუგდიდის და „აისის“ პროგრამებში A2-ია მითითებული.

მარიკა ზაქარეიშვილმა განაცხადა, რომ ერთი შემოთავაზება ჰქონდა: თუ დაფიქსირდება ენის ცოდნა წინაპირობად, შეიძლება შეიზღუდოს მსმენელი და გართულდეს ადამიანების შერჩევა. მისი აზრით, თუ ვაძლევთ კვალიფიკაციას მსმენელს, შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს მას კარგად გააკეთოს ეს საქმე. ამიტომ ასეთ შუალედურ გამოსავალს სთავაზობს: სათაურში გამოჩნდეს „ქართულენოვანი“ და სერტიფიკატი ჰქონდეს იმ ცოდნაში, რასაც მიიღებს. თუკი მან ინგლისური ან სხვა უცხო ენა იცის, შეძლებს იმ ენაზე საუბარს. უბრალოდ, მათ მიერ გაცემული კვალიფიკაცია არ იქნება იმის დამადასტურებელი, რომ ეს ადამიანი მაინცდამაინც ამ ენებზე შეძლებს ამ მარშრუტების აღწერას.

დაწესებულების წარმომადგენელმა ბელა ავალიშვილმა აღნიშნა, რომ მათი აზრით, უცხო ენის ჩაწერით უპირატესობა მიენიჭებოდათ უცხო ენის მცოდნე პირებს შერჩევის დროს და რადგან მათ ბევრი ადამიანი ჰყავდათ შესარჩევი, ამით შეუმსუბუქდებოდათ საქმე. არ უფიქრიათ ის, რომ ამზადებდნენ უცხოენოვანს. შემდეგ მათი გადასაწყვეტი იქნებოდა, რა ენაზე ისაუბრებდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ ნიკოლოზ მესხიშვილს გადასცა სიტყვა, რომელმაც აღნიშნა, რომ ჩვენი რეალობაა, პირველ რიგში, მნიშვნელოვანი იმიტომ, რომ რეგიონში გვეყოლება მცოდნე კადრი, ვინც იცნობს ისტორიას, თხრობის კარგი მანერა აქვს, თუნდაც ქართულ ენაზე, ქართველებისთვის. არ არის აუცილებელი, რომ ხელოვნურად შევქმნათ ბარიერი, რადგან ვინც გვყავს, ის ადამიანები, კვალიფიციური კადრები, შესაძლებელია, უცხო ენას არ ფლობდნენ კარგად, მაგრამ არიან დარგის სპეციალისტები. მეორე მხრივ, მოლოდინი არის და ყველას გვინდა, რომ უცხოენოვან ტურისტთან კარგად წარმოაჩინოს გიდმა ქვეყანა და შესაძლებელია, ისე ცუდად იცოდეს უცხო ენა, რომ ქვეყნის ან ობიექტის ისტორიის მოსმენაც აღარ მოუხდეს უცხოელ ტურისტს. ესეც ბრენდინგის და მარკეტინგის ნაწილია, რომელიც ჩვენს ქვეყანას ამ ეტაპზე ძალიან სჭირდება. მან აღნიშნა, რომ იზიარებდა მარიკა ზაქარეიშვილის შემოთავაზებას და კარგი იქნებოდა, თუ შემუშავდებოდა შუალედური მექანიზმი და ცალკე იქნებოდა რეგიონული ტურის მეზური და დაკონკრეტდებოდა რომ არის ქართულენოვანთათვის და ასევე იქნებოდა არაქართულენოვანთათვის. ცალკე სამსჯელო საკითხია, არაქართულენოვანთათვის რა პროგრამა იქნება და არის თუ არა რეგიონში უცხო ენის კვალიფიციური კადრი, ვინც უცხო ენას კარგად ასწავლის. მისი აზრით, იმის მიხედვით რომ გაკეთდეს, რაც არის და ხარისხიანად, უკეთესი იქნება. მომავალში კიდევ უფრო მაღალ სტანდარტს ისურვებდა კოლეჯების მხრიდან და დარწმუნებულია, იქნება ამის შესაძლებლობაც, რომ პროგრამა ინგლისურ ენაზე განხორციელდეს და საერთოდ, არ იქნება ასეთი ტიპის პროგრამა - „ქართულენოვანი“, იქნება მთლიანად ინგლისურ ან ნებისმიერ უცხო ენაზე, რაც კიდევ უფრო დახვეწს ნებისმიერი გიდის უნარებს.

მარიკა ზაქარეიშვილმა განაცხადა, რომ რაც ქალბატონმა ბელამ, დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, არის ძალიან კარგი გააზრება, კერძოდ ის, რომ პროგრამაში, შერჩევის წესში პრიორიტეტი შერჩევის დროს მიენიჭება უცხო ენის მცოდნეს იმიტომ, რომ იგი უფრო ფართო მასებთან გამოიყენებს თავის უნარებს. ანუ რეგულირდება შერჩევის წესით. შეიძლება სხვა კოლეჯებმა იგივე პრაქტიკა გაიზიარონ, თუკი მოეწონებათ. პრიორიტეტი მიენიჭებათ

უცხო ენის მცოდნეებს და ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ დაიშვებიან ის პირები, ვინც უცხო ენა არ იცის.

გიორგი გამყრელიძემ ნიკოლოზ მესხიშვილის ნათქვამს დაამატა შემდეგი: ტურისტული სექტორი, რაც უშუალოდ გიდებს და გამყოლებს ეხება და ერთი და იგივე სიტყვაა, დგას ორ რაღაცაზე. ევროპულ გამოცდილებას თუ ავიღებთ, ეს არის ენის ცოდნა, სოციალურ-ემოციური უნარები და მეორე, გეოგრაფიული ლოტის ცოდნა, რომელზეც აქვს უშუალოდ ჩაბარებული გამოცდა. ანუ როდესაც ხდება ადამიანის სერტიფიცირება გიდად, ხდება როგორც ენობრივი, ასევე იმ ლოტის მიხედვით გამოცდა და შემდგომში ენიჭება მას გიდის სტატუსი. ჩვენთან, ბევრ რამეში არის ერთი ცუდი ტენდენცია და ეს ეხება მათ შორის ტურიზმის სფეროს. ჩვენ ვხსნით ყველასთვის კარებს, რაც ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი არის ხელმისაწვდომი იმის ხარჯზე რომ არის დაბალი ხარისხი და შესაბამისად, მერე როცა ვსაუბრობთ პრესტიჟულობაზე, ყველა ასეთი სახის საქმიანობა დაკავშირებულია დაბალ ანაზღაურებაზე. ჩემი მიზანი არის ის, რომ თითოეული პროფესია და თითოეული პროფესიული ჯგუფი, რომელზეც ვსაუბრობთ, იყოს პრესტიჟული, ეს ყველა სფეროს ეხება. საქართველოში, ჯერჯერობით ამ ორგანიზებულ ტურიზმს არ მივსდევთ. ორგანიზებული ტურიზმი განკუთვნილია უცხოელი ტურისტებისათვის, შესაბამისად ისმის კითხვა, ვისთვის უნდა იყოს მომზადებული ეს კადრი.

თორნიკე ჯობავამ დააფიქსირა თავისი აზრი. ის ფიქრობს, რომ A1 იქნება თუ A2 დონე, არავის აკნინებს, მაგრამ გათვლილია იმ ადამიანებისთვის, ვინც ელემენტარულად უნდა გაიგონ რას ეუბნებიან, და პასუხი დაუბრუნონ და შესაბამისად, სწორ ლოკაციაზე მიიყვანონ. მან აღნიშნა, რომ ეთანხმება მარიკას და ფიქრობს, რომ კარგი იქნებოდა დაკონკრეტება ქართულენოვანი და არაქართულ ენოვანი გიდის.

საბჭოს თავმჯდომარემ ითხოვა, თითოეულ კოლეჯს გამოეხატა თავისი აზრი უცხო ენის საკითხთან, პროგრამის სახელთან და იმასთან დაკავშირებით, თუ რა იქნება პროგრამა, მომზადება თუ გადამზადება, მხოლოდ ამაზე რომ გვიპასუხოს ექსპერტებმა და დაწესებულებების წარმომადგენლებმა.

მალხაზ ასლამაზაშვილმა, კოლეჯ „აისის“ დირექტორმა განაცხადა, რომ ეთანხმება ქალბატონ ბელას იმასთან დაკავშირებით, რომ უცხო ენის ცოდნა აღებული იყო შერჩევის მომენტისათვის. ისიც ცალსახაა, კარგია, თუ უცხო ენა ეცოდინება უფრო მაღალ დონეზე, თუმცა B2 დონე იქნება, თუ A2 დონე, ის შედეგები, რომელიც პროგრამაში არის აღწერილი, ერთი და იგივე კომპეტენციაზე გავა, გარდა ერთისა, რომ უცხო ენის მცოდნეს, დამატებით კიდევ ერთი კომპეტენცია აქვს, რომელიც აძლევს იმ პირს შესაძლებლობას, გამოიყენოს ის ენა უცხოენოვანთათვის, თუმცა ფიქრობს, რომ გიდის კომპეტენციები უფრო გაცილებით მაღალია, ვიდრე ამ პროგრამაში აღწერილი კომპეტენციები, რომელიც არის უბრალოდ მეგზური.

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის დირექტორმა, ქალბატონმა თეონამ თქვა, რომ ლოგიკურია, ყველანი ვთანხმდებით, რომ ეს აქტუალური პროგრამაა რეგიონებში. რაც შეეხება ენის ცოდნას, მათ პროგრამაში წინაპირობა არის A2. შემდეგ აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, მათ პირდაპირ დადგენილებით განსაზღვრეს შემოსული A2 დონის მსურველი მსმენელებისთვის B2 დონეზე გადამზადების ვალდებულება. მათ აქვთ უცხო ენის შემსწავლელი ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს მსმენელის B2 დონეზე მიყვანას, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ ჩათვალეს, რომ ინგლისური ენის სწავლა არის მნიშვნელოვანი. მან ქალბატონ ირინასთანაც გაიარა, ჰქონდა საუბარი, რომ ეს პროგრამა რაც მათ წარმოადგინეს, არის მომზადების პროგრამა და იგულისხმება, რომ არის ზუსტად გიდის უნარ-ჩვევების კომპეტენციების განვითარება და არა რაღაც გარკვეული დარგის და ისტორიის ცოდნა. ვინაიდან მათ აქვთ ისტორიის, ქართულის და სხვა ღირებულებებზე ორიენტირებული



კურსები, მიაჩნიათ, რომ როცა გიდს ეხება საქმე, გადამზადების პროგრამის ნაწილში, კარგი იქნება ენასთან ერთად, წინაპირობაში იყოს ისტორიის ცოდნა მინიმუმ. ძალიან კარგი ისტორიკოსი უნდა იყოს გიდი და გეოგრაფიაც უნდა იცოდეს. ასეთი კომპეტენციების ჩაშლაც საჭირო იქნება, როცა ხარისხზე ვსაუბრობთ.

თორნიკე ჯობავას დამაზუსტებელი კითხვა ჰქონდა ქალბატონ თეონასთან, რომელმაც თქვა, რომ A2 აქვს დაშვების წინაპირობაში ჩადებული და მერე კურსებით მიაღწევინებს B2-ს, მაგრამ ვინც ვერ შეძლებს, ამ შემთხვევაში სერტიფიკატს ვერ მიიღებენ ამ პროგრამაზე? ქალბატონმა თეონამ უპასუხა, რომ B2-ზე გასვლა აუცილებელი არ არის, მათი მხარდაჭერა იყო მხოლოდ, უნივერსიტეტის დამოკიდებულება, რომ თუ მსმენელს ენდომებოდა ისინი აწევდნენ უცხო ენის დონეს. მხარდაჭერის მექანიზმი იყო უბრალოდ ჩარიცხული მსმენელისათვის ამ პროგრამაზე.

საბჭოს თავმჯდომარეს აინტერესებდა, როგორ ჯობდა მოქცევა სახელებთან დაკავშირებით: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს წარმოდგენილი ჰქონდა პროგრამა სახელწოდებით „რეგიონული ტურისტული მეგზური“, რომელიც იყო მომზადების პროგრამა, „აის“ წარმოდგენილი ჰქონდა პროგრამა სახელწოდებით „რეგიონული ტურის მეგზური“, რომელიც ასევე იყო მომზადების პროგრამა, მაგრამ შედეგები იყო აბსოლუტურად იდენტური, რვავე შედეგი ერთი და იგივეა, თუმცა სახელი სხვადასხვაა. მესამე, „ოპიზარს“ აქვს წარმოდგენილი ორი პროგრამა: „რეგიონული ტურისტული მეგზური“ - მომზადების პროგრამა და „რეგიონული ტურის მეგზური“ - გადამზადების პროგრამა. საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით, უკეთესი იქნებოდა, თუ მოხდებოდა რაღაც უნიფიცირება ან შემუშავდებოდა სხვა სახელწოდებები.

თეონა ხუფენიამ თქვა, რომ მათ შემთხვევაში საპილოტე პროგრამა იყო ტურისტული, ამიტომ დაიტოვეს ეს ტერმინი. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა, რა განსხვავებაა რეგიონულ ტურისტულ გიდსა და რეგიონული ტურის გიდს შორის, რაზეც თეონა ხუფენიამ უპასუხა, რომ ვერანაირ განსხვავებას ვერ ხედავს.

საბჭოს თავმჯდომარის თქმით, მისთვისაც ერთი და იგივეა აღნიშნული სახელწოდებები, ამიტომ დაინტერესდა, რა განმარტებას გააკეთებდა სსიპ - კოლეჯი „ოპიზარი“ იმასთან დაკავშირებით, რომ განასხვავა სახელწოდებები: და მომზადების პროგრამას დაარქვა „რეგიონული ტურისტული მეგზური“, ხოლო გადამზადების პროგრამას - „რეგიონული ტურის მეგზური“. როგორ უნდა გაერჩია ისინი ერთმანეთისგან თუნდაც სტუდენტებს.

ბელა ავალიშვილმა განმარტა, რომ მსჯელობის შედეგად შეთანხმდნენ მომზადებისა და გადამზადების პროგრამების სახელწოდებებზე. მაგრამ ახლა ამ საუბრის შემდეგაც მიაჩნია, რომ არც ის არის პრობლემა, რომ განსხვავებულად ჰქვია და არც ის იქნებოდა პრობლემა, რომ ერთნაირად რქმეოდათ.

საბჭოს თავმჯდომარის შემდეგი კითხვა დაწესებულებასთან იყო, თუ რატომ გადაწყვიტეს ორივე პროგრამის შემოტანა, მომზადების და გადამზადებისაც, რა იყო ამის მიზეზი. ბელა ავალიშვილის პასუხი იყო, რომ როცა ქალბატონ ირინასთან ერთად საუბრობდა, მათ გარკვეული მიმართულება ჰქონდათ, იდეა, მომზადებაზე და ასევე გადამზადებაზეც, რადგან სჭირდებოდათ ახალი მარშრუტები. ეს იყო სიახლე არსებული გიდებისთვის, რადგანაც ისინი სტანდარტული ტექსტებით მოქმედებენ და ძალიან შედეგიანი იყო, მაგალითად, რაბათის გიდები რომ გადაემზადნენ. ახალ ტურებში მიიღებდნენ მონაწილეობას და მეტი ანაზღაურებაც ექნებოდათ და მათთვისაც საინტერესო იქნებოდა, რომ რეგიონში ხელმისაწვდომი ყოფილიყო ახალი ობიექტები და ახალი მარშრუტები. ამიტომ გადამზადებაში ეს იგულისხმეს, რომ

დამატებითი კომპეტენცია მისცემოდათ მათ. ხოლო რაც შეეხება მომზადებას, მათთან არის უამრავი სასტუმროები, თვითონვე უწევენ მეგზურობას, მაგალითად ასპინძაში. ისინი ისედაც აკეთებენ ამას და მათ იფიქრეს, რომ რაღაც კომპეტენციები შეეძინათ მათთვის. ამიტომაც გადაწყვიტეს მომზადების პროგრამა. რაც შეეხება უცხო ენის ცოდნას, მათ სულაც არ უგულისხმიათ რომ რომელიმე უცხო ენაზე ესწავლათ, უბრალოდ, ვინც შეძლებდა გამოიყენებდა ამ ცოდნას და გამოიყენებს, რა თქმა უნდა. მათ ეს ცოდნა შერჩევის მომენტისათვის ჩადეს, რადგან ძალიან ბევრი მსურველი ჰყავდათ და მიაჩნია, რომ საერთოდაც რომ არ იყოს ნახსენები უცხო ენა, არანაირი პრობლემა არ არის. რაც შეეხება თემატიკას, რატომ არის ერთი და იგივე, ამასთან დაკავშირებით მან თქვა, რომ იმის მიხედვით, თუ რა ცოდნა აქვს და კომპეტენციები, სიახლე მაინც არის არსებული გიდებისთვის, რასაც ისინი მისცემენ ამ კურსით, მაინც უფრო მარტივად შეძლებენ ნაკლებ დროში და ჩანს პროგრამაშიც: 45 საათი აქვთ დათმობილი გადამზადებაზე და 90 საათი აქვთ მომზადებაზე. მათ არ აქვთ იმის პრეტენზია ამჟამად, რომ გიდებს აუმაღლონ კვალიფიკაცია, მათ უნდათ, რომ გიდებს მისცენ კიდევ რაღაც ახალი კომპეტენცია, ისინი გიდებს სთავაზობენ ახალი კომპეტენციის დაუფლებას. მათ უნდათ, რომ მათ მომზადებულ მეგზურებს, ისედაც არსებულ საოჯახო სასტუმროებში თუ სხვაგან, ჰქონდეთ ახალი კომპეტენციები.

საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო.

საქოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ძალიან დეტალურად მოხდა განხილვა და აღარ მოისმენენ თითოეულ პროგრამას, რადგან გადაწყვეტილება მიიღეს, რომ ერთი თვის ვადა მიეცეს ყველას. მათ ექნებათ შესაძლებლობა, როგორც კოლეგებმა, ერთმანეთს გაუზიარონ აზრები. რა თქმა უნდა, ავტონომიურობით სარგებლობენ და როგორც უნდათ, ისეთ გადაწყვეტილებას მიიღებენ და არც საბჭო არ ჩაერევა ზედმეტად. რისი გაკეთება უნდათ მათ რეგიონში, ეს მათზე უკეთ არავინ არ იცის. ამიტომ ერთ თვიანი ვადა ექნებათ ჩამოსაყალიბებლად და მხოლოდ მიმართულებას აძლევს საბჭო, რა მიაჩნია სწორად. როგორც აღნიშნეს, უცხო ენის ცოდნა მიაჩნიათ საკვანძოდ, თუმცა თუ ისინი თვლიან, რომ ეს არის განსხვავებულ სეგმენტზე გათვლილი, რომელთანაც არ არის საჭირო უცხოენოვან ადამიანთან ჰქონდეს ურთიერთობა, იმიტომ რომ ეს არის ქვეყნის იმიჯის თემა, როდესაც გიდი იქნება, მეგზური თუ რასაც დაარქმევთ, ურთიერთობას ამყარებს უცხოენოვან ტურისტთან, ის უნდა იყოს სათანადოდ მომზადებული და ეს მიაჩნიათ უპირობოდ სავალდებულოდ და ენა კარგად უნდა იცოდეს შესაბამისად B2 -ის დონეზე. თუ ისინი თვლიან, რომ ეს არ არის ის კატეგორია, რომელიც დაამყარებს ურთიერთობას უცხოენოვან ტურისტთან, ამის შესაძლებლობასაც მისცემს საბჭო, ოღონდ ამ შემთხვევაში სათაური უნდა დაკონკრეტდეს და მაგალითად, დაერქვას „ქართულენოვანი რეგიონული ტურის მეგზური“. ეს არის მათი გადაწყვეტილება. თუ აპირებენ, რომ მსმენელთან იყოს მომზადება და მიეცეს ის საბაზო უნარები, რაც მას სჭირდება და თუ თვლიან, რომ უფრო ღრმად უნდა მოხდეს შესწავლა, უცხოენოვან სტუმრებთან ჰქონდეს ურთიერთობა, გაკეთდეს გადამზადება. ამ შემთხვევაში წინაპირობაში უნდა იყოს ჩადებული უცხო ენის კარგად ცოდნა, ერთგვარი გამოცდილება ან თუნდაც შესაბამისი განათლება, ვთქვათ ბაკალავრის სტუდენტი იყოს და ა.შ. მომზადების პროგრამა გაიაროს პირველ რიგში, მაგრამ შემდეგ როცა ცოდნის გაღრმავებას მოინდომებს, შეეძლოს გადამზადებაზე გადასვლა, ეს მათი გადასაწყვეტია. ამიტომ საბჭოს თავმჯდომარის რჩევა იყო, ჩამოყალიბდნენ, ამისთვის ერთთვიანი ვადა ეძლევათ.

მარიკა ზაქარეიშვილმა დაამატა, რომ მომზადების პროგრამაში წინაპირობაში არაფერი განსაკუთრებული არ იქნება, მაგრამ სათაური დაკონკრეტდება - ქართულენოვანი. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მას არ შეუძლია უცხოელს დაელაპარაკოს, მაგრამ ეს მომზადებული პროგრამა ამ კონკრეტულ ცოდნას დაუდასტურებს. გადამზადების შემთხვევაში, რადგან სხვადასხვა უცხო ენა შეიძლება იყოს, მოუწევთ ალბათ დაკონკრეტება, რა უცხო ენას

გულისხმობენ, ინგლისურს, რუსულს თუ სომხურს და დავალებების 30% მაინც უცხო ენაზე უნდა იყოს ინტეგრირებული.

საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა ოთხივე პროგრამა ცალ-ცალკე:

1. სსიპ - კოლეჯ „ოპიზარს“ - „რეგიონული ტურისტული მეგზურის“ /01075/ პროფესიული მომზადების პროგრამისთვის ხარვეზის გამოსასწორებლად ერთთვიანი ვადის მიცემის შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 9**

**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**

განესაზღვრა სსიპ - კოლეჯ „ოპიზარს“ - „რეგიონული ტურისტული მეგზურის“ /01075/ პროფესიული მომზადების პროგრამისთვის ერთთვიანი ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად.

2. სსიპ - კოლეჯ „ოპიზარს“ - „რეგიონული ტურის მეგზურის“ /01074/ პროფესიული გადამზადების პროგრამისთვის ხარვეზის გამოსასწორებლად ერთთვიანი ვადის მიცემის შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 9**

**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**

განესაზღვრა სსიპ - კოლეჯ „ოპიზარს“ - „რეგიონული ტურის მეგზურის“ /01074/ პროფესიული გადამზადების პროგრამისთვის ერთთვიანი ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად.

3. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს - „რეგიონული ტურისტული მეგზურის“ /01084/ პროფესიული მომზადების პროგრამისთვის ხარვეზის გამოსასწორებლად ერთთვიანი ვადის მიცემის შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 9**

**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**

განესაზღვრა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს - „რეგიონული ტურისტული მეგზურის“ /01084/ პროფესიული მომზადების პროგრამისთვის ერთთვიანი ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად.

4. სსიპ - კოლეჯ „აისისთვის“ – „რეგიონული ტურის მეგზურის“ /01087/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

საბჭოს წევრებმა ტექნიკურად ვერ შეძლეს ხმის მიცემა სსიპ - კოლეჯ „აისისთვის“ და გადაწყვიტეს 25 ივნისის საბჭოს სხდომაზე მიეცათ ხმა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ, 17:15 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
პროფესიული მომზადების  
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ქუჩულორია მარიამ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
პროფესიული მომზადების  
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს მდივანი  
ზაქარეიშვილი მარიკა

